ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2368076

ნომერი: AR1366326

თარიღი : 23.12.2015

გაცემის თარიღი : 30.12.2015

გაცნობის თარიღი : 11.01.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაღმართი ვერა (ყოფ. ელბაქიძე), ბაღი სკვერი "სამაია" , ტერიტორიის ნაწილი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ შევარდნაძე პ/ნ 01017038716
- თბილისი საბურთალოს ქ. N 31 ბ. 40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დაღმართი ვერა (ყოფ. ელბაქიძე) ბაღი სკვერი "სამაიას" ტერიტორიის ნაწილზე I კლასის სამუშაოებზე ნებართვის გაცემისსაკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაურკვეველია საპროექტო კონსტრუქციის ფუნქციური დანიშნულება. ამასთან, წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი, სესაბამისად არ დგინდება საპროექტო ტერიტორიის ზუსტი ადგილმდებარეობა.

იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა შესაბამის ველებში ატვირთოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

– არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა შორი და ახლო ხედით, სხვადასხვა რაკურსით;
– არსებული და საპროექტო გენგეგმა საკადასტრო საზღვრებისა და საპროექტო ობიექტის ჩვენებით (ზომების მითითებით);
– ფოტომონტაჟი შორი და ახლო ხედით, სხვადასხვა რაკურსით;
– საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის მესაკუთრის ან უფლებამოსილი პირის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე;

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge